ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 09

დაბა ჩაქვი „08“ „ივნისი“ 2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ნოემბრის N62 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის“ მე-3 მუხლის 1-3 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის ორგანიზების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის ორგანიზების მიზნით, შეიქმნას სტაჟირების გავლის კომისია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით:

მაია ხაჯიშვილი	– უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
გელა ღოღობერიძე	– იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
მანანა ჯორბენაძე	– იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი).

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტაჟირების გავლის კომისიის მუშაობაში, სტაჟირების გასავლელად კანდიდატთა შერჩევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სტაჟირების გავლის კომისიის არამუდმივი წევრის სტატუსით, მონაწილეობს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტაჟირების გავლის კომისიის ფუნქციები განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის შესაბამისად;

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტაჟირების გავლის კომისიის არამუდმივი წევრი სარგებლობს სტაჟირების გავლის კომისიის წევრის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით.

6. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოს ფუნქციების განხორციელება (კომისიის დავალებით და მასთან შეთანხმებით: განცხადების გადარჩევა, პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება და აშ) დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.

7. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2017 წლის 17 იანვრის N02 ბრძანება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის კომისიის შექმნის შესახებ";

8. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, სტაჟირების გავლის კომისიის წევრებს.

9. ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან (დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქუჩა N25) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მაია ხაჯიშვილი